Შ. რ.-ს
მისამართი: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას N6 (შპს პოსტვ)
ელ. ფოსტა: legal.contact@yahoo.com

რეკომენდაცია
სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო შ.,

2023 წლის 24 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს გ. ბ.-მ (შემდგომში განმცხადებელი) მომართა შ. რ.-ს მხრიდან (შემდგომში მოპასუხე) განხორციელებული სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე. საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით შ. რ.-ს მიმართა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განცხადების თანახმად, 2018 წელს შ. რ. დაუკავშირდა განმცხადებელს და გასაუბრებაზე მისვლა სთხოვა. განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან სამსახური ესაჭიროებოდა, გასაუბრებაზე გამოცხადდა „პოსტ TV“-ის ოფისში, სადაც ინტერნეტ ტელევიზიის (იმ პერიოდისთვის) დირექტორს შ. რ.-ს შეხვდა. განმცხადებლის მითითებით, მოპასუხემ მას უთხრა, რომ *შარმი აქვს და მისი წყალობით ბევრ რამეს მიაღწევდა.* განმცხადებლის აღნიშვნით, ამის გამო, მან უხერხულობა იგრძნო და შეხვედრიდან წამოვიდა. ამასთანავე, განმცხადებელი განმარტავს, რომ, რამდენიმე დღეში, მოპასუხე კვლავ დაუკავშირდა და უთხრა, *თუ სამსახურის დაწყება უნდოდა, მასთან მისულიყო.* განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით, შეხვედრისას მოპასუხე ნასვამი იყო და *ფეტიშებზე საუბარს სთხოვდა.* განმცხადებელმა შეხვედრა მალევე დატოვა.

2023 წლის 24 მარტს, განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა მასსა და შ. რ.-ს შორის არსებული მიმოწერის ამსახველი „სქრინების“ ნაწილი, ხოლო 2023 წლის 23 მაისს განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატს მოაწოდა მასსა და მოპასუხეს შორის არსებული სრული მიმოწერის ამსახველი ვიდეო.[1]

[1] **შენიშვნა:** გადაწყვეტილებაში ასახულია მიმოწერის ძირითადი ნაწილი

მხარეებს შორის არსებული მიმოწერის ქრონოლოგია შემდეგია:

- *მოპასუხე მიმოწერის დაწყებისთანავე (**2018 წლის 28 ნოემბერს**) განმცხადებელს მისი ფოტოების დასათვალიერებლად ლინკის გაზიარებას სთხოვს. ასევე ეუბნება, განმცხადებელს უთხრას როგორი გოგოა, ცუდი რა აქვს, ვნებიანი არის თუ რაციონალური, მოსწონს მხრებზე და კისერზე რომ ეფერებიან. პირველივე საუბრისას, განმცხადებელი მოპასუხეს ეუბნება, რომ მისი კოლეგაა და ჟურნალისტიკაზე სწავლობს, თუმცა თავისი პროფესიის მიხედვით არ მუშაობს. მოპასუხე მას დასაქმების თაობაზე საუბარს სთავაზობს;*
- *მეორე დღეს, (**29 ნოემბერს**), მოპასუხე განმცხადებელს მასთან ოფისში მისვლას სთავაზობს და განმცხადებელს განუმარტავს მისვლამდე ჩამოყალიბდეს ვინ არის, რა უნდა და თუ მოეწონა „მიხედავს“. ამავე დღეს, მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ;*
- ***30 ნოემბერს,** მოპასუხე კვლავ სთავაზობს განმცხადებელს შეხვედრას და 1 დეკემბრის მიმოწერის მიხედვით ერთმანეთს მეორედ 1 დეკემბერს ხვდებიან;*
- ***6 დეკემბერს** შ. რ. განმცხადებელს კვლავ შეხვედრას სთხოვს, რაზეც განმცხადებელი შეხვედრის გადადებას ითხოვს; 6 დეკემბერს მოპასუხე განმცხადებელს წერს, რომ „იმედი აქვს უფრო მიეჩვევა“;*
- ***8 დეკემბერს** მხარეები შეხვედრაზე თანხმდებიან და მოპასუხე განმცხადებელს ეუბნება, რომ „სექსი ფოტო დაიყენა“. საბოლოოდ, 8 დეკემბერსვე შ. რ. განმცხადებელს ატყობინებს, რომ ვერ ნახავს;*
- ***13 დეკემბრის** მიმოწერით ირკვევა, რომ განმცხადებელი შ. რ.-ს სამსახურის დაწყებაში დახმარებას სთხოვს, ვინაიდან სწავლის ფული არ აქვს და ეკითხება უნდა ჰქონდეს თუ არა მისი იმედი, რასაც მოპასუხე ეთანხმება;*
- ***16 დეკემბერს,** მოპასუხე განმცხადებელს ეკითხება მისი „ყველაზე ქულ სექსი ფოტო“ რომელია. განმცხადებელი მოპასუხეს ეკითხება მისი სამსახურის თაობაზე თუ არის სიახლე. მოპასუხე სთავაზობს შეხვედრას, რაზეც განმცხადებელი პასუხობს რომ ვერ ახერხებს და ხვალ საღამოს ეცლება;*
- ***19 დეკემბერს** მოპასუხე განმცხადებელს კვლავ სთავაზობს შეხვედრას. განმცხადებელი სთხოვს ტელევიზიის გარეთ შეხვედრას, ვინაიდან შორს არის. მოპასუხე ეკითხება მასთან სახლში ხომ არ შეხვდნენ;*
- ***20 დეკემბრის** მიმოწერა ადასტურებს, რომ სავარაუდოდ, წინა დღით მხარეები ერთმანეთს ვერ შეხვდნენ. ასევე განმცხადებელი ღიად წერს მოპასუხეს, რომ მას სამსახურის ამბები აინტერესებს;*
- ***29 დეკემბრის** მიმოწერით, შ. რ. მოპასუხეს წერს თუ არის მზად თავგადასავლებისთვის, ასევე აღნიშნავს, რომ მას სიმპათია აქვს განმცხადებლის მიმართ და ეკითხება შეუქმნის თუ არა ეს სამსახურში უხერხულობას და გამოვა თუ არა პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობის შეთავსება. განმცხადებელი პასუხობს, რომ მისთვის ამ ტიპის საუბარი უხერხულია, მას მისი დახმარების იმედი ჰქონდა და ისინი უხერხულ დიალოგამდე მივიდნენ; ასევე მოპასუხე პირდაპირ ეკითხება მისდამი დამოკიდებულების შემდეგ უნდა თუ არა მასთან მუშაობა. განმცხადებელი პასუხობს რომ მას არ უნდა მისი სამუშაო გარემო დისკომფორტს უქმნიდეს;*
- ***2 თვის შემდეგ, (2019 წლის 14 მარტს)** მოპასუხე კვლავ წერს განმცხადებელს და ინტერესდება უნდა თუ არა ცნობილი გახდეს, ვიკიპედიაში მისი გვარით, ასევე ეკითხება რაზე არის წარმატებისთვის წამსვლელი. განმცხადებელი პასუხობს, რომ „საწოლის გავლით“ რამის გაკეთება მისთვის მიუღებელია. შ. რ. მიმოწერაში აღნიშნავს, რომ მათი საქმიანი ურთიერთობის პრობლემა ის იყო, რომ მას როგორც ქალს ვეღარ შეხედავდა და ეკითხება იცის თუ არა რომ სექსუალურია; მოპასუხე აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა „უნდა ისწავლო ტიპების გავლენის ქვეშ მოქცევა და ვისაც მისი გაქაჩვა ის უნდა დაამტეროს“;*
- ***2019 წლის 10 აპრილს** შ. რ. განმცხადებელს ეკითხება დაიწყო თუ არა მუშაობა. განმცხადებელი პასუხობს რომ არ დაუწყია მუშაობა;*
- ***2019 წლის 14 მაისს,** მოპასუხე კვლავ წერს განმცხადებელს როგორ მიდის მისი საქმეები. ასევე განმცხადებლის მიწერილზე, რომ გასაუბრებაზე დაიბნა, შ. რ. ეუბნება, რომ მას მეტი გამბედაობა და სექსუალობა სჭირდება. ასევე განმცხადებელს წერს, რომ „ ძალიან მოსწონს და ენანება რადგან რეალიზებული არ არის“;*
- ***2019 წლის 18 აგვისტოს** შ. რ. განმცხადებელს კვლავ წერს და ეკითხება არის თუ არა რეალიზებული; განმცხადებელი პასუხობს, რომ კაზინოში მუშაობს. მოპასუხე კვლავ სთავაზობს განმცხადებელს შეხვედრას და დასაქმების თაობაზე კიდევ დაფიქრებას, რაზეც განმცხადებელი პასუხობს რომ შეხვედრა არ უნდა;*
- ***2020 წლის 15 მარტს** მოპასუხე განმცხადებელს წერს, რითი არის დაკავებული, განმცხადებელი პასუხობს რომ არაფრით. მოპასუხე განმცხადებელს დალაპარაკებას სთავაზობს. მოპასუხე ასევე წერს, რომ ახსოვს რა ფანტაზიის და თავისუფლების ხარისხის მქონე იყო.*

1.2. მოპასუხე შ. რ.-ის პოზიცია

შ. რ.-ის 2023 წლის 10 აპრილის პასუხის თანახმად, განმცხადებლის მიერ მოწოდებული „სქრინების“ ავთენტურობა არ არის დადასტურებული. მოპასუხის მითითებით, „სქრინები“ არ ასახავს სრულ საუბარს და გარკვეული ნაწილი გამოტოვებულია. შ. რ. ასევე მიუთითებდა, რომ განმცხადებლის ახსნა-განმარტება არ შეესაბამება მის მიერვე წარმოდგენილ „სქრინებს“. მოპასუხის აღნიშვნით, წარმოდგენილი ინფორმაცია სინამდვილეც რომ იყოს, მაინც არ დგინდება გ. ბ.-ის უფლების დარღვევა. მოპასუხე აღნიშნავდა, რომ 2018 წელს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველისთვის მომართვა წარმოადგენს მის წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარს. 2023 წლის 5 ივნისს მოპასუხემ სახალხო დამცველის აპარატში დამატებითი წერილი წარმოადგინა, რომლითაც მიუთითებდა, რომ ვიდეო განმცხადებლის მიერ არ არის იმ ფორმით წარმოდგენილი, რომელიც მიმოწერის ავთენტურობას დაადასტურებდა. მოპასუხის აღნიშვნით, ფაქტების კონსტატაციის მექანიზმის გამოყენებაა მიზანშეწონილი მიმოწერის ამსახველი ვიდეოს ავთენტურად მიჩნევისთვის. ამასთან, მოპასუხეს ეთხოვა დაეზუსტებინა, უარყოფდა თუ ადასტურებდა განმცხადებელთან მიმოწერის არსებობას; ამასთანავე, განემარტა, რომ უფლებამოსილი იყო, სახალხო დამცველის აპარატში წარმოედგინა მის ხელთ არსებული მიმოწერის ამსახველი მასალა.[2] მოპასუხის 2023 წლის 19 ივლისის წერილში აღნიშნულია, რომ მიმოწერის გადამოწმება და მისი მოწოდება შეუძლებელია და კვლავ მითითებულია, რომ არსებითია წარმოდგენილ იქნეს ავთენტურობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. სექსუალური შევიწროების შესახებ სამართლებრივი სტანდარტი და მისი აკრძალვის მნიშვნელობა

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და აღიარებს დისკრიმინაციის ფორმად. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3[2] პუნქტის თანახმად, *სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.*

სექსუალური შევიწროების აღმოფხვრისკენ არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW), ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა

[2] 2023 წლის 9 ივნისის წერილი N13-4/5484; 2023 წლის 10 ივლისის წერილი N13-4/6674

და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (სტამბოლის კონვენცია), ძალადობის და შევიწროების წინააღმდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია (N190) და სხვა. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენცია“) მე-40 მუხლი სექსუალურ შევიწროვებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა. ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს. ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას.[3]

2002/73/EC, 2004/113/EC და 2006/54/EC დირექტივები სექსუალური შევიწროების შემდეგ დეფინიციას გვთავაზობს: „სექსუალური შევიწროება არის ნებისმიერი სექსუალური ფორმით გამოხატული, არასასურველი ვერბალური, არავერბალური ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს“. დირექტივები ითვალისწინებს იმასაც, რომ დისკრიმინაციის ფორმაა არა მხოლოდ შევიწროება და სექსუალური შევიწროება, არამედ ისიც, თუ პირი არასახარბიელო მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული იმის გამო, რომ ის მსგავს ქცევას დაეთანხმა ან უარყო.[4]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებისა და რეკომენდაციის გამოყენებაზე ექსპერტთა კომიტეტი, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ორ კატეგორიას განმარტავს: ***„quid pro quo“*** ანუ „მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ“ და ***„მტრული სამუშაო გარემოს“ შექმნა***.[5] სექსუალური შევიწროების პირველი სახე - „quid pro quo“ მოიცავს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ფიზიკურ, ვერბალურ ან არავერბალურ ქცევას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიყენება ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის დასაქმების სტატუსზე.[6] Quid pro quo სექსუალური შევიწროების შემთხვევაში, სავარაუდო შემავიწროებელი პირისგან მოითხოვს სექსუალურ ურთიერთობას, იმისათვის, რათა დასაქმებულმა შეინარჩუნოს ან მოიპოვოს სამსახურებრივი ბენეფიტები; ხოლო უარის შემთხვევაში, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს.[7]

---

[3] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, § 208, გვ.35, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rm.coe.int/ic-and-explanatory-report/16808d24c6

[4] Directive 2002/73/EC , მუხლი 2(4); Directive 2004/113/EC, მუხლი 4(3); Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council on the implementation of the principle of equal opportunities and equal treatment of men and women in matters of employment and occupation (recast), 05/07/2006, მუხლი 2(2)

[5] ILO, Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations, Report III (1A) 2003, გვ. 463; ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661(2003)1A.pdf

[6] იქვე

[7] საქართველოს სახალხო დამცველი, „პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ“, გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021031110082436854.pdf

Quid Pro Quo (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ), დამსაქმებლის ან ძალაუფლების მქონე სხვა პირის მიერ დასაქმებულისთვის სექსუალური ხასიათის შეთავაზების გაკეთებას გულისხმობს პროფესიული/სახელფასო დაწინაურების ან სხვა სახის წახალისების სანაცვლოდ;[8]

2019 წლის 21 ივნისს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ „ძალადობისა და შევიწროების შესახებ" ახალი, C190 კონვენცია მიიღო. „გენდერული ნიშნით ძალადობა და შევიწროება არის ადამიანების სქესის ან გენდერის გამო ძალადობა და შევიწროება, ან კონკრეტული სქესის ან გენდერის ადამიანებზე არაპროპორციულად ზეგავლენის მომხდენი, და მოიცავს სექსუალურ შევიწროებას". C190 კონვენციის მოქმედება ვრცელდება მშრომელებზე და ყველა სხვა პირზე, მათ შორის, დასაქმებულებზე; ასევე პირებზე, მათი კონტრაქტის სტატუსის მიუხედავად; პირებზე, რომლებიც გადიან სწავლებას, მათ შორის, სტაჟიორები; მშრომელებზე, რომელთაც შეუწყდათ დასაქმება; მოხალისეებზე, სამუშაოს მაძიებლებსა და ვაკანტური ადგილის კანდიდატებზე.[9]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-17 მუხლის [ძველი რედაქცია] პირველი პუნქტის *მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი…ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია... ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას…*[10]

სექსუალური შევიწროება ყოველთვის იწვევს პირის ღირსების შელახვასა და დამცირებას. სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.[11]

სექსუალური შევიწროვება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება თანასწორი მოპყრობის პრინციპს და აქვს დამაზიანებელი ეფექტი იმ ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ვის წინააღმდეგაც არის მიმართული.[12]

---

[8] სექსუალური შევიწროება ქალთა უჩინარი დისკრიმინაცია 2015 წელი, გვ. 33

[9] https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C190

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ", II-30.

[11] Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment, 7. Burden of Proof, Evidentary Issues*, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftn154.

[12] The dignity of women at work, a report on the problem of sexual harassment in the member states of the European communities parts I-II, Luxembourg: office for official publications of the European communities, 1988, Michael Rubenstein, page 10-11.

საგულისხმოა, რომ სექსუალური შევიწროების დადგენის ტესტი განსხვავებულია დისკრიმინაციის დადგენის ტესტისაგან. კერძოდ, თუკი პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის საქმეებში, საჭირო არის შესადარებელი სუბიექტი, ე.წ. კომპარატორი, და დაცული ნიშანი, სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს **კომპარატორი არ ჰყავს,** ამასთან, სექსუალურ შევიწროებას **არ აქვს გამართლება,** თავისთავად არის არასწორი ქმედება თავისი პოტენციური შედეგებიდან გამომდინარე, რაც თავის თავში მოიცავს შევიწროების მსხვერპლის ღირსების შელახვას.[13]

2.2. სექსუალური შევიწროება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით

2.2.1. მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი

დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებთან მიმართებით კანონმდებლობა ექსპლიციტურად განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა სახალხო დამცველს/სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ამდენად, სავარაუდო შემავიწროებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან არასასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას ადგილი არ ჰქონია. წინამდებარე საქმის შესწავლის პროცესში, მოპასუხეს განემარტა მტკიცების ტვირთის სტანდარტი, თუმცა, განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი ფაქტების უარყოფის მიზნით, არგუმენტები არ წარმოუდგენია. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატმა მოპასუხეს წერილობით არაერთხელ სთხოვა, დაეზუსტებინა,[14] *უარყოფდა თუ ადასტურებდა განმცხადებელთან მიმოწერის არსებობას*; გარდა ამისა, მოპასუხეს განემარტა, რომ უფლებამოსილი იყო, სახალხო დამცველის აპარატში წარმოედგინა მის ხელთ არსებული მიმოწერის ამსახველი მასალა, ასეთი არსებობის შემთხვევაში. ამის მიუხედავად მოპასუხეს სახალხო დამცველისთვის ერთმნიშვნელოვანი პოზიცია - უარყოფდა განმცხადებლის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს თუ ეჭვქვეშ მხოლოდ მიმოწერის ამსახველი მტკიცებულების ავთენტურობას აყენებდა - არ წარმოუდგენია.

---

[13] საქართველოს სახალხო დამცველი, „პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ“, გვ. 12, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/sakhelmdzghvaneloebi-da-kvlevebi/praktikuli-sakhelmdzghvanelo-seksualuri-shevitsroebis-shesakheb

[14] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 6 აპრილის წერილი N13-4/3471; 2023 წლის 9 ივნისის წერილი N13-4/5484; 2023 წლის 10 ივლისის წერილი N13-4/6674

სახალხო დამცველისთვის, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სრული მიმოწერის გათვალისწინებით, მტკიცებულების ავთენტურობა სარწმუნოა, ხოლო მოპასუხის მხრიდან მხოლოდ ზოგადი უარყოფა არ შეიძლება წარმოადგენდეს მტკიცებულების ეჭვქვეშ დაყენების სამართლებრივ წინაპირობას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოპასუხე მის მიერ მოწოდებულ წერილში[15] აღნიშნავს, რომ მიმოწერა ნამდვილი რომც იყოს ეს არ ადასტურებს განმცხადებლის სექსუალურ შევიწროებას. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, მოპასუხე თავად არ გამორიცხავს მიმოწერის ნამდვილობას.

2.2.2. სექსუალური შევიწროების შემადგენლობა

წინამდებარე საქმის მასალების თანახმად, მხარეებს ერთმანეთთან მიმოწერა 2018 წლის ნოემბრიდან 2020 წლის მარტამდე პერიოდში ჰქონდათ. როგორც მიმოწერიდან ირკვევა, ორჯერ - 2018 წლის 29 ნოემბერს და 1 დეკემბერს განმცხადებელი და მოპასუხე ერთმანეთს შეხვდნენ. ამდენად, მხარეებს შორის კომუნიკაცია იყო განმეორებადი და დროში ხანგრძლივი. პირველივე მიმოწერისას - 2018 წლის ნოემბერში განმცხადებელმა მოპასუხეს უთხრა, რომ მისი კოლეგაა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს, თუმცა, შესაბამისი კონტაქტების არარსებობის გამო, პროფესიულ განვითარებას ვერ ახერხებს. ამის შემდგომ, მოპასუხე თავისი ინიციატივით პროფესიულ საქმიანობაზე საუბარს სთავაზობს. მათი კომუნიკაცია მოიცავს შესაძლო დასაქმებაზე საუბარს, რამდენადაც, განმცხადებელი მომავალი ჟურნალისტია, ხოლო მოპასუხე - საინფორმაციო პორტალ „პოსტ TV“-ს დამფუძნებელი.

2.2.2.1. *ქმედების სექსუალური ხასიათი*

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, ჰქონდა თუ არა მხარეთა შორის მიმოწერას სექსუალური შინაარსი/ხასიათი. ქმედების სექსუალური ხასიათი გამოხატულია ვერბალური ფორმით, მხარეთა შორის სექსუალური ხასიათის მიმოწერას ადასტურებს შემდეგი ფრაზები: ***„აბა ლინკი მომე დაგათვალიერებ ჩემი თეორია მაქვს ინსტაგრამის ფოტოებზე შევამოწმებ“, „მხრებზე რომ გეფერებიან და კისერზე ისიც გევასება“, „მერწმუნე ვიცი რასაც ვამბობ კიდევ ცოტა ვეძმა ხარ ალქაჯი რაღაც პონტში საკუთარ თავში რაღაც ძალებსაც გრძნობ“ „ვნებიანი ხარ? თუ რაციონალური ?“ „მოსვლამდე ჩოტკად ჩამოყალიბდი რა ხარ? ვინ ხარ ? რა გინდა?“ „გამო.[...] კაბით“, „ძაან სექსი ფოტო დაიყენე“, „შენი ყველაზე ქუულ სექსი ფოტო რომელია“, „მზად ხარ წამომყვე თავგადასავალში“, „ახლა უკვე სამსახურებრივი საკითხი წამოჭერი და ეს უხერხულობაა ხო გესმის? და შეთავსება გამოვა?“, „პირადი ურთიერთობა და სამსახური ამ შემთხვევაში დისკომფორტს შეგიქმნის ხო?“, „რაზე ხარ წამსვლელი რომ წარმატებას მიაღწიო?” „იცი რომ სექსუალური ხარ ?“, „უნდა ისწავლო ტიპების გავლენის ქვეშ მოქცევა ამის პოტენციალი გაქვს და შეგიძლია“, „ვისაც შეუძლია შენი გაქაჩვა ის უნდა დააშტერო“ „ძალიან მომწონხარ და მენანები რო რეალიზებული არ ხარ.“***

[15] 2023 წლის 10 აპრილის და 2023 წლის 5 ივნისის წერილები

სახალხო დამცველის შეფასებით, განმცხადებლისთვის კარიერული წინსვლის წინაპირობად გარკვეულ ქცევაზე მითითება ატარებს სექსუალურ ხასიათს, კერძოდ, წარმოადგენს სექსუალური შევიწროების სახეს, რომელიც გულისხმობს *მომსახურებას მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo).* სექსუალური შევიწროების აღნიშნული ფორმა ვლინდება შემდეგ ფრაზებში: ***„როცა გაგიცანი მე გამოვხატავდი ამ სიმპატიას რადგან საქმეზე და დასაქმებაზე ლაპარაკი არ იყო. ახლა უკვე სამსახურებრივი საკითხი წამოჭერი და ეს უხერხულობაა ხო გესმის? და შეთავსება გამოვა? ხო რთულია?" „შენ ახლა ამ შენდამი ჩემი დამოკიდებულების შემდეგ მაინც გინდა ჩემთან მუშაობა ?" „პირადი ურთიერთობა და სამსახური ამ შემთხვევაში დისკომფორტს შეგიქმნის ხო?", „შენდამი უკვე მაქვს სიმპატია და რთულია არ გავურიო საქმეში ხო გესმის? ბოლო-ბოლო სრულიად მიუღებელია როცა მხოლოდ სამსახურის გამოა რაიმე ურთიერთობა ასე არაა?"*** ამდენად, 2018 წლის 29 დეკემბრის მიმოწერა პირდაპირ ადასტურებს *მომსახურება მომსახურების ნაცვლად* გამოვლენილ სექსუალურ შევიწროებას.

მოპასუხე განმცხადებელს მიანიშნებს, რომ მისი სამსახურებრივი სტატუსი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მათი პირადი ურთიერთობა. ფაქტობრივად, შ. რ. განმცხადებელს აყენებს იმ ვითარებაში, რომ დასაქმების სანაცვლოდ დათანხმდეს სამსახურებრივი ურთიერთობის მიღმა კავშირს. საგულისხმოა, რომ სექსუალური შევიწროების ამ ფორმას უმეტეს შემთხვევაში მაშინ ვხვდებით, როდესაც სექსუალური შევიწროების განმახორციელებელი პირი სამსახურში ზემდგომ პოზიციაზეა და მსხვერპლისთვის დაწინაურებისა თუ სხვა სარგებლის შეთავაზება შეუძლია.[16] ამგვარი პრაქტიკა დამამცირებელია და შესაძლოა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს. დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნულის გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის სამსახურში აყვანასა თუ დაწინაურებაზე.[17]

სექსუალური შევიწროება ხშირად ეფუძნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და დაფიქსირებული შეტყობინებები მიანიშნებენ, რომ სექსუალური შევიწროება ჩადენილია ქალების წინააღმდეგ მამაკაცების მიერ. გარდა ამისა, ქალები კონკრეტული ჯგუფებიდან - როგორიცაა დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსექსუალი ქალები, მიგრანტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ახალგაზრდა ქალები - შეიძლება დაექვემდებარონ სექსუალურ შევიწროებას სხვადასხვა ფორმით. ეს გამოწვეულია ინტერსექციურობით ან ფაქტორების/გარემოებების კომბინაციით, რამაც შეიძლება

[16] UN Women, „სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში", გვ. 28, ხელმისაწვდომია:https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2021/Workplace%20Sexual%20Harassment%20in%20the%20Civil%20Service%20in%20Georgia%20GEO%20renewed.pdf

[17] გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები 2018 წელი გვ. 20

გააძლიეროს ძალადობისა და შევიწროების რისკი.[18] როგორც წესი, ზემოაღნიშნულ ქმედებებს ადგილი აქვს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სარგებლის დაპირების კონტექსტში ან შურისძიების მუქარისას. უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლი და შემავიწროებელი იცნობენ ერთმანეთს და მათი ურთიერთობისთვის დამახასიათებელია იერარქიული და ძალაუფლებრივი განსხვავებები.[19]

წინამდებარე საქმეში, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებებზე, რომ განმცხადებელი არის ახალგაზრდა, 21 წლის, მე-3 კურსის სტუდენტი, რომელიც, მისი მითითებით, ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მოპასუხემ კი გამოიყენა შესაძლებლობა, გავლენა მოეხდინა მასზე, რაც კიდევ უფრო საგანგაშოა, ვინაიდან მოპასუხე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შეეცადა, პროფესიულ წინსვლაში დახმარების სანაცვლოდ, პირადი, ინტიმური ტიპის სარგებლის მიღებას. საგულისხმოა ისიც, რომ მოპასუხე არ ინტერესდება განმცხადებლის განათლებითა და პროფესიული კვალიფიკაციით, რაც შესაძლო დასაქმებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აღნიშნულის ნაცვლად, მოპასუხე პირდაპირ სექსუალური კონოტაციის საუბარს წარმართავს.

2.2.2.2. *ქმედების არასასურველობის საკითხი*

ქმედების არასასურველობასთან მიმართებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ აღნიშნულს ადასტურებს მხარეების მიმოწერა, კერძოდ, 2018 წლის 20 დეკემბრის მიმოწერაში განმცხადებელი მოპასუხეს ეუბნება, ***„პირდაპირ გეტყვით და სამსახურის ამბები მაინტერესებს განსაკუთრებულად“***; 2018 წლის 29 დეკემბრის მიმოწერაში კი განმცხადებელი აღნიშნავს - ***„მეგონა დამეხმარებოდით და ახლა ისე მოხდა რომ უხერხულ დიალოგამდე მივედით“, „ჩემთვის არის ეს ლაპარაკი უხერხული“, „მე არ მინდა რომ ჩემი სამუშაო გარემო დისკომფორტს მიქმნიდეს. ზოგადად არავის უნდა ეგ“, „თუ ვინმე განსაკუთრებულად გამოხატავს თავის სექსუალურ გრძნობებს ჩემთან დაკავშირებით ნამდვილად დისკომფორტს შემიქმნის“;*** გარდა ამისა, 2019 წლის 14 მარტის მიმოწერაში, როდესაც მოპასუხე განმცხადებელს ეკითხება *„თუ რაზეა წამსვლელი წარმატების მისაღწევად,“* განმცხადებელი აღნიშნავს: ***„ერთადერთი რაც არ შემიძლია და ვფიქრობ ვერც შევძლებ საწოლის გავლით რამის გაკეთებაა სხვა დანარჩენი თავდაუზოგავი შრომა მუდმივი სწავლება“***; ამასთან, 2019 წლის 14 მარტს საუბრისას, როდესაც მოპასუხემ განმცხადებელს ჰკითხა, *„იცის თუ არა რომ სექსუალურია“* განმცხადებელმა უპასუხა, რომ ***„ჯობია სამსახურის საკითხებს დაუბრუნდნენ“.*** სექსუალური ქცევისადმი არასასურველობას ასევე ადასტურებს განმცხადებლის პოზიცია, ***„ვერ შევთანხმდებით ვერასდროს“*** და ***„არ შეიძლება ჩვენი სხეულები რამე სარგებლის გამო სხვას დავუთმოთ“.*** განმცხადებლის პასუხს კვლავ მოსდევს

[18] Sexual harassment in the world of work, International Labour Organization გვ. 1-2 https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---gender/documents/briefingnote/wcms_738115.pdf

[19] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, § 209, გვ. 36

მოპასუხის კითხვა - *„გინდა რომ დათმო?“* განმცხადებელი კი პასუხობს: ***„არც მინდა და არც შემიძლია.“*** ამდენად, განმცხადებელმა მოპასუხისთვის არაერთხელ გახადა ნათელი, რომ მისთვის დასაქმების ან მუშაობის სანაცვლოდ მოპასუხესთან სექსუალური ხასიათის ურთიერთობა მიუღებელია.

გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებელი თავად არ ყოფილა სექსუალური კონოტაციის მქონე საუბრის ინიციატორი. განმცხადებელს სამსახურის დაწყება სურდა, რაშიც დახმარება მოპასუხეს სთხოვა. მოპასუხე კი, მისი მდგომარეობის გამოყენებით, შეეცადა განმცხადებელთან პროფესიული ურთიერთობის მიღმა, პირადი, ინტიმური ხასიათის ურთიერთობის დამყარებას. შ. რ. არის ცნობილი სატელევიზიო სახე, ტელეკომპანია „პოსტ TV“-ის დამფუძნებელი და გადაცემის წამყვანი, რისი გათვალისწინებითაც, მას შეეძლო განმცხადებლის პროფესიულ სტატუსზე გავლენის მოხდენა. ამდენად, სექსუალური ხასიათის ურთიერთობაზე მინიშნების მცდელობა და არჩევანის წინაშე დაყენება, პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობების შეთავსებაზე აქცენტირებით, წარმოადგენს სექსუალურ შევიწროებას.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში, საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების განხორციელების ვარაუდი განმცხადებელის მიერ მითითებული იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა თანახმად, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასასურველ სექსუალური ხასიათის სიტყვიერ ქმედებებს, რის გამოც განმცხადებელს შეექმნა დამამცირებელი გარემო. ხოლო მოპასუხეს არგუმენტაცია და სათანადო ინფორმაცია არ წარმოუდგენია, რომელიც სექსუალური შევიწროების ვარაუდს გააქარწყლებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ **შ. რ.-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა გ. ბ.-ის მიმართ სექსუალურ შევიწროებას, რაც გამოიხატა არასასურველი, სექსუალური ხასიათის სიტყვიერ ქცევაში, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა შეურაცხმყოფელი/დამამცირებელი გარემო.**

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შ. რ.-ს,

- *მომავალში, პროფესიულ და სხვა ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო.*

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,